ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №19

20 დეკემბერი 2022 წელი

12:30 საათი

ა/წ 20 დეკემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ანა კაკაბაძე;
3. ლევან აბაშიძე;
4. ნათია მოდებაძე;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. მამუკა გუგეშაშვილი;
7. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქაია

სხდომის დღის წესრიგი:

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის წარმოადგინა გაიოზ თალაკვაძემ, კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება შემოსულობების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადის 8541,7 ათასი ლარის ზრდით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების 425,7 ათასი ლარის შემცირებით და ზოგიერთი შემოსავლის ფაქტიურად მიღებული ოდენობის მიხედვით გეგმის დაზუსტებით. ამასთან, ცვლილებები ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის ჯამური მოცულობა შეადგენს 1 567 982,6 ათას ლარს. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის იზრდება: დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) 1100,0 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) 500,0 ათაასი ლარით, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში 26,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში 27,6 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში 41,1 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში 47,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა 45,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა 20,0 ათასი ლარით.

მცირდება: გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება 160,0 ათასი ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება 200,0 ათასი ლარით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება 90,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში 26,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება 1150,0 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება ვაკის რაიონში 2,7 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში 25,8 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება ვაკის რაიონში 9,8 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება საბურთალოს რაიონში 2,1 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება კრწანისის რაიონში 10,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ვაკის რაიონში 6,6 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში 11,3 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში 37,0

ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ვაკის რაიონში 8,5 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში 2,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება კრწანისის რაიონში 0,06 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება 65,0 ათასი ლარით.

კომისიის წევრი ლევან აბაშიძე დაინტერესდა რამ განაპირობა გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების და საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამების ბიუჯეტის შემცირება.

აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილიმა განმარტა, რომ მოსახლეობის მხრიდან აღნიშნული ქვეპროგრამებით სარგებლობის მოლოდინი იყო მეტი თუმცა მიმართვიანობა იყო ნაკლები და შესაბამისად ვერ მოხდა გამოყოფილი თანხების სრული ათვისება. ამასთან, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ დაახლოებით 140-მდე ექიმს გამოუცხადა საყვედური, საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში, მედიკამენტების საჭიროების გარეშე დანიშვნის გამო, შესაბამისად დაკორექტირდა ექიმების მიერ გამოწერილი მედიკამენტებიც.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 3

გაიოზ თალაკვაძემ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი წარმოადგინა, კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანახმად ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით გამოყოფილია - 144 160 000 ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 27 160,6 ათასი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 3 169 700 ლარით მეტია. სოციალური პროგრამებისთვის კი განსაზღვრულია 117 000 100 ლარი; მათ შორის გრძელდება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, დაავადებათა სკრინინგის და

ტრანსპლანტაციის დაფინანსება. სოციალური დაცვის პროგრამისთვის ჯამში გათვალისწინებულია 117 000,0 ათასი ლარი. გრძელდება შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება: კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შინმოვლის დანადაფინანსება, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში და სხვა; იზრდება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის დაფინანსება 1 514 600 ლარით და შეადგენს 7 383 000 ლარს. ეს კი ნიშნავს, რომ 2023 წლის იანვრიდან კიდევ 354 ბავშვს დაუფინანსდება თერაპიული კურსი და სულ ამ პროგრამით 1729 ბავშვი ისარგებლებს; მომავალი წლის ბიუჯეტით, ასევე იზრდება ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება -1 600 000 ათასი ლარით;

იზრდება: გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი - 55 000 ათასი ლარით; მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა 36 000 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება-152 000 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება -660 000 ათასი ლარით. სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 6700 ლარით; სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობის პროგრამული ბიუჯეტი -324 000 ლარით; სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება 12 000-ლარით; თბილისის მუნიციპალური მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა/ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფთა და სხვა პრობლემების მქონე პირთა მომსახურება -278 100 ლარით; დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია იზრდება - 1 294 300 ათასი ლარით; „სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში“ -100 000 ლარით;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 3

თავი შეიკავა: 0

კომისიამ დაადგინა

წარმოდგენილი პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე